ონის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს მიერ 2025 წელს დამტკიცებული სამოქმედო გეგმით გათვალისწინებული აქტივობების შესრულების შესახებ

ა ნ გ ა რ ი შ ი

ონის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთა საკითხებზე მომუშავე საბჭოს 2025 წლის სამუშაო გეგმის მიხედვით, განისაზღვრა 6 მიზანი და 7 ამოცანა, რომელთა შესასრულებლად დაიგეგმა 8 აქტივობა.

შესრულდა მიზანი 1. მოსმენილი იქნა შშმ საბჭოს სხდომაზე ქალთა ოთახის მთავარი სპეციალისტის ანგარიში შშმ ქალებისა და გოგონების, ქალისა და მამაკაცის თანასწორი უფლებების, თავისუფლებების და შესაძლებლობების რეალიზებისთვის ცნობიერების ამაღლება, გენდერული თანასწორობის ჭრილში. საკითხის განხილვის დროს გამოიკვეთა, რომ ნაკლები მუშაობა იყო გაწეული შშმ ქალებისა და გოგონების ცნობიერების ასამაღლებლად. მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, ქალთა ოთახის 2026 წლის სამოქმედო გეგმაში დაიგეგმა შესაბამისი აქტივობები.

შესრულდა მიზანი2. რომელიც ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისათვის სხვა ბავშვების მსგავსად, თანაბარი უფლებების და მოპყრობის რეალიზების მხარდაჭერას. ამ მიზნით, ხორციელდება სკოლამდელი განათლების ალტერნატიული ცენტრების ბავშვთა გადმოყვანა ა(ა)იპ ონის მუნიციპალიტეტის ბაგა-ბაღში და თანატოლებთან ერთად, სასწავლო-სააღმზრდელო პროცესში, მათი ჩართვა. მათ შორის არიან სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებიც.

- მომზდდა პროექტი და ხორციელდება შშმ ბავშთა რეგილიტაცია-აბილიტაციის მიზნით ტრანსპორტირება ონი - ამბროლაური - სადმელი, სარეაბილიტაციო ცენტრში (4 ბავშვი) .

-სოფლად მცხოვრები სასკოლო ასაკის ბავშვებისათვის გამოყოფილია მუნიციპალური ტრანსპორტი და ისინი ინტერსების მიხედვით, ჩართული არიან ქალაქ ონში არაფორმალური განათლების დაწესებულებებში არსებულ შემოქმედებით და საგნობრივ წრეებში, სპორტულ სექციებში, სამხატვრო და სამუსიკო სკოლებში.

-ამავე მიზნის მიხედვით, გათვალისწინებული იყო საქართველოს პარლამენტის დადგენილების „ბავშვთა განვითარებისკენ მიმართული ადრეული ჩარევის სახელმწიფო კონცეფციის დამტკიცების შესახებ“ მოთხოვნათა შესრულება. უკვე განხორციელდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები 0-დან 6 წლამდე ბავშთა აღრიცხვა და საინფორმაციო ბაზის შექმნა. დაისახა ამოცანა - არცერთი 2-დან 6 წლამდე ბავშვი სკოლამდელი განათლების მიღმა, რაც მოხერხდა სხვადასხვა მოდელის ალტერნატიული ცენტრების დაფუძნების გზით.

- მუნიციპალიტეტში მინიმუმამდეა დაყვანილი ამოცანა-არცერთი 2-დან 18 წლამდე ბავშვი განათლების გარეშე

-ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების შექმნით შესაძლებელი გახდა შესწავლილიყო 0-დან 18 წლამდე ბავშვთა გადაუდებელი საჭიროებები და პროგრამების შემუშავების გზით მიღებულია ზომები ამ საჭიროებათა ნაწილობრივ დასაკმაყოფილებლად.

- მოსმენილია საბჭოს სხდომაზე ბაღების გაერთიანების დირექტორის ინფორმაცია სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში, მათ შორის სხვადასხვა მოდელის სკოლამდელი განათლების ცენტრებში ბავშთა ინკლუზიური განათლების მიმართულებით გაწეული მუშაობის შესახებ.

ნაწილობრივ შესრულოდა მიზანი 3. საბჭოს სხდომაზე მოსმენილია ბავშვის უფლებების დაცვისა და მხარდაჭერის განყოფილების უფროსის ანგარიში გაწეული მუშაობის შესახებ. შესწავლილია ონის მუნიციპალიტეტში მცხოვრები კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახების მდგომარეობა და კვლევის შედეგებზე დაყურდნობით მომზადებულია ასეთი ოჯახების მატერიალური და არამატერიალური მიმართლებებით პროგრამები. მომზადდა ორი მუნიციპალური პროგრამა, რომელთა შორის ერთი დაფინანსებულია და ხორციელდება კრიზისულ მდგომარეობაში მყოფი ბავშვიანი ოჯახებისთის ერთჯერადი დახმარებების გაცემა.

- უფრო მეტი აქტივობები უნდა დაიგეგმოს შშმ პირთა დამოუკიდებელი ცხოვრებისა და ცხოვრების ყველა სფეროში მათი სრულყოფილი მონაწილეობისთვის.

შესრულების პროცესშია მიზანი 4. რომელიც ითვალისწინებს მუნიციპალიტეტში მცხოვრები შეზღუდული შესაძლებლობის მქონე პირთათვის ქვეყანაში არსებული ჯანმრთელობის დაცვის სახელმწიფო და მუნიციპალური პროგრამების მორგებას და საჭიროებების კვლევაზე დაყრდნობით, სოციალური დახმარების გაცემას. ამ საქმეს ემსახურება სოციალური და ჯანმრთელობის დაცვის განყოფილება. რომლის მუშაობის ანგარიში ამ მიმართულებით გაწეული მუშაობის თაობაზე მოსმენილია საბჭოს სხდომაზე, რაც შეფასებულია დადებითად.

- 2025 წლის გეგმის მიხედვით, გათვალისწინებული იყო „ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებებში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2025 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის“ შესაბამისად შშმ პირთა ჯანმრთელობის დაცვის უზრუნველყოფა. შშმ პირები წარმოდგენილი ოფიციალური დოკუმენტაციის შესწავლის საფუძველზე უზრუნვეყოფილი არიან მოხმარებული მედიკამენტების, ასევე სხვადასხვა სახის ოპერაციების წილობრივი დაფინანსებით.

მიზანი 5- ის შესასრულებლად, რომელიც ითვალისწინებდა მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ პირთა დროულ აბილიტაციასა და რებილიტაციის მხარდაჭერას და ინდივიდის საჭიროებების შეფასებაზე დაფუძნებული სააბილიტნაციო და სარეაბილიტაციო სერვისებისა და პროგრამების მაქსიმალურად ადრეულ ეტაპზე შეთავაზებასა და განხორციელებას, ამ მიმართულებით მაქსიმალურადაა გამოყენებული მუნიციპალიტეტის შესაძლებლობები. ხდება 4 შშმ ბავშვის ტრანსპორტირება ამბროლაურში მოქმედ სარებილიტაციო ცენტრში. ხოლო ბაღების გაერთიანების მულტიდისციპლინური გუნდი მუშაობს სხვადასხვა მოდელის სკოლამდელი აღზრდის დაწესებულებებში. მულტიდისციპლინურ გუნდში გაერთიანებული არიან გადამზადებული სპეციალისტები: სპეცპედაგოგი, ფსიქოლოგი, ლოგოპედი, მეთოდისტი, რომლებიც აღმზრდელებთან ერთად, სწავლობენ თითოეული ბავშვის საჭიროებებს, გეგმავენ მუშაობას აღმზრდელებთან ერთად, შეაქვთ ცვილებები საჭიროების მიხედვით ბავშვის ინდივიდუალურ სამოქმედო გეგმებში.

თუმცა ჯერჯერობით, ობიექტური მიზეზების გამო, ვერ შესრულდა გეგმით გათვალისწინებული საკითხი - მუნიციპალიტეტში მცხოვრებ შშმ პირთათვის პერსონალური ასისტენტის სერვისით მომსახურების საჭიროებასთან დაკავშირებით.

მიზანი 6. შესასრულებლად, გეგმით გათვალისწინებული საკითხის „მუნიციპალიტეტში მცხოვრები შშმ და სსმ პირთათვის ადრე აშენებული და მშენებარე შენობა-ნაგებობების მისაწვდომობის დაცვის მდგომარეობის შესახებ“ განხილვის დროს მიღებული დადგენილების მიხედვით, ინფრასტრუქტურული პროექტების შესყიდვის პროცესში, მკაცრადაა დაცული მისაწვდომობის ტექნიკური რეგლამენტის მოთხოვნები.

ონის მუნიციპალიტეტის მერიის შეზღუდული შესაძლებლობების მქონე პირტა საკითხებზე მომუშავე საბჭო

2026 წლის 10 მარტი